


## სტატისტიკური მონაცემები ნაფიც მსაჯულთა მიერ განხილული საქმეების შესახებ

2010 წლის ოქტომბრიდან სისხლის სამართლის რეფორმის ფარგლებში საქართველოში ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის ეტაპობრივი დანერგვა დაიწყო. თავდაპირველად ნაფიც მსაჯულთა მიერ სისხლის სამართლის საქმეთა განხილვა გავრცელდა თბილისის, ქუთაისისა და ბათუმის საქალაქო სასამართლოებში, ხოლო 2017 წლის 1-ელი იანვრიდან დაემატა რუსთავის საქალაქო, ზუგდიდის, გორისა და თელავის რაიონული სასამართლოები.

**ნაფიც მსაჯულთა** ინსტიტუტის ამოქმედებიდან 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით საქართველოს რაიონულ (საქალაქო) სასამართლოებში ნაფიც მსაჯულთა მიერ სულ განხილულია 38 სისხლის სამართლის საქმე 49 პირის მიმართ. აქედან: 2011 წელს განხილულია 2 საქმე 4 პირის მიმართ, 2012 წელს - 1 საქმე 1 პირის მიმართ, 2013 წელს - 4 საქმე 7 პირის მიმართ, 2014 წელს - 4 საქმე 7 პირის მიმართ, 2015 წელს - 9 საქმე 10 პირის მიმართ, 2016 წელს - 4 საქმე 4 პირის მიმართ, 2017 წელს - 9 საქმე 10 პირის მიმართ, ხოლო 2018 წელს 5 საქმე 6 პირის მიმართ.


ნაფიც მსაჯულთა მიერ განხილული საქმეების დინამიკა



**სასამართლოების** მიხედვით აღნიშნული მონაცემები შემდეგნაირად ნაწილდება: თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ განხილულია 27 სისხლის სამართლის საქმე, ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მიერ - 8 საქმე, რუსთავის საქალაქო, გორისა და ზუგდიდის რაიონული სასამართლოების მიერ თითო-თითო საქმე.


ბათუმის საქალაქო და თელავის რაიონულ სასამართლოებში ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით არც ერთი საქმე არ განხილულა.

**ნაფიც მსაჯულთა მიერ განხილული საქმეების რაოდენობა სასამართლოების მიხედვით**




აღნიშნულ პერიოდში ნაფიც მსაჯულთა მიერ განხილულ იქნა სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით (განზრახ მკვლელობა) 7 საქმე, მათ შორის ერთი საქმე - 11<sup>1</sup>-108-ე მუხლით; სსკ-ის 109-ე მუხლით (განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებებში) 14 საქმე, მათ შორის ერთი საქმე სსკ-ის 11<sup>1</sup>-109-ე მუხლით; სსკ-ის 19-109-ე მუხლით (განზრახ მკვლელობის მცდელობა დამამძიმებელ გარემოებებში) - 9 საქმე, სსკ-ის 342-ე მუხლით 2 საქმე, სსკ-ის 25-109-ე, 180-ე, 182-ე, 185-ე, 186-ე, 333-ე მუხლებით თითო-თითო საქმე.

**ნაფიც მსაჯულთა მიერ განხილული საქმეების რაოდენობა დანაშაულის კვალიფიკაციის მიხედვით**




ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ განხილული 38 საქმიდან(49 პირის მიმართ)გამამტყუნებელი ვერდიქტი მიღებული იყო 36 პირის მიმართ, ხოლო გამამართლებელი - 13 პირის მიმართ.

### ვერდიქტის ფორმები



ვერდიქტის ფორმები სასამართლოების მიხედვით ნაწილდება შემდეგნაირად:  
 თბილისის საქალაქო სასამართლოში გამამტყუნებელი ვერდიქტი მიღებულია 27 პირის მიმართ, გამამართლებელი - 10 პირის მიმართ;  
 ქუთისის საქალაქო სასამართლოში გამამტყუნებელი ვერდიქტი მიღებულია 5 პირის მიმართ, გამამართლებელი - 3 პირის მიმართ;  
 რუსთავის საქალაქო სასამართლოში გამამტყუნებელი ვერდიქტი მიღებულია 2 პირის მიმართ;  
 გორისა და ზუგდიდის რაიონულ სასამართლოებში ნაფიც მსაჯულთა მიერ გამამტყუნებელი ვერდიქტი მიღებულია თითო-თითო პირის მიმართ.


### ვერდიქტის ფორმების სასამართლოების მიხედვით



ნაფიც მსაჯულთა მიერ 36 პირის მიმართ მიღებული გამამტყუნებელი ვერდიქტიდან გამოტანილი განაჩენების მიხედვით წარდგენილ ბრალდებებში სრულად იქნა დამნაშავედ ცნობილი 24 პირი, ხოლო 12 პირის მიმართ გამოტანილია ნაწილობრივ გამამართლებელი ვერდიქტი.

ნაფიც მსაჯულთა მიერ განხილულ საქმეებზე გამოტანილი განაჩენების მიხედვით მსჯავრდებული 36 პირის მიმართ შეფარდებული სასჯელები ნაწილდება შემდეგნაირად:  
 ვადიანი თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა 32 პირს;  
 უვადო თავისუფლების აღკვეთა - 2 პირს;  
 ჯარიმა - 1 პირს;  
 გათავისუფლდა ამნისტიით - 1 პირი.


### გამოყენებული სასჯელები



მსჯავრდებულთა მიმართ შეფარდებული თავისუფლების აღკვეთის ვადები ნაწილდება შემდეგნაირად:


5 წლის ჩათვლით თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა 5 პირს,  
 5წლიდან 10 წლის ჩათვლით- 5 პირს,  
 10 წლიდან 15 წლის ჩათვლით- 8 პირს,  
 15 წლიდან 20 წლის ჩათვლით- 12 პირს,  
 20 წლიდან 25 წლის ჩათვლით- 2 პირს,  
 უვადო თავისუფლების აღკვეთა - 2 პირს.

## თავისუფლების აღკვეთის ვადები




ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ ვერდიქტი გამოტანილ იქნა 5 ქალის (10,2%) და 44 კაცის (89,8%) მიმართ.

## გასამართლებულ პირთა გენდერული შემადგენლობა




ასაკის მიხედვით გასამართლებული პირები ნაწილდებიან შემდეგნაირად:  
 14-17 წლის - 1 პირი (2,0%);  
 18-24 წლის - 11 პირი (22,4%);  
 25-29 წლის - 9 პირი (18,4%);  
 30-49 წლის - 23 პირი (45,9%);  
 50 წელს ზემოთ - 5 პირი (10,2%).

### პირთა განაწილება ასაკის მიხედვით



გასამართლებული 49 პირიდან უმუშევარია 31 პირი, საჯარო მოსამსახურეა - 11, კომერციული ან სხვა ორგანიზაციის თანამშრომელი - 2, სტუდენტი - 1, პატიმარი - 3.

### სოციალური შემადგენლობა



ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ განხილული 38 საქმიდან (49 პირის მიმართ) სააპელაციო სასამართლოებში საკასაციო წესით გასაჩივრდა 18 საქმე (37,5%) 21 პირის მიმართ (42,8%). განხილული საქმეებიდან დაუშვებლად იქნა ცნობილი 3 საქმე (16,6%) 7 პირის მიმართ (33,3%), დატოვებულია განუხილველად 2 საქმე (11,1%) 3 პირის მიმართ (14%), განაჩენი დატოვებულია უცვლელად 10 საქმეზე (55,5%) 10 პირის მიმართ (48%), განაჩენი გაუქმდა სასჯელის დანიშვნის ნაწილში და დაუბრუნდა სასამართლოს სასჯელის ხელახალი დანიშვნისათვის 1 საქმეზე (5,5%) 1 პირის მიმართ (5%).

**ნაფიც მსაჯულთა მიერ გამოტანილი ვერდიქტის გასაჩივრების შედეგები (პირების მიხედვით)**

